KA030153474589920

№ 01-2044 **09 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს
მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 27 თებერვალს ჩატარდა საქართველოში კორონავირუსის მართვის საკოორდინაციო კომისიის მესამე სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული სიტუაციური ანალიზი, საჭიროებების შეფასება, მიმდინარე ეტაპზე არსებული პრობლემები და შესაბამისი ღონისძიებების გატარებისთვის საჭირო ადმინისტრაციული საკითხები.
სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორმა ბატონმა ავთანდილ თალაკვაძემ წარმოადგინა შესასყიდი საქონლის (მათ შორის, პირადი დაცვის საშუალებები, სადეზინფექციო საშუალებები, სამედიცინო აპარატურა და სხვა სამედიცინო საგნები, ხელოვნური სუნთქვის აპარატები და სხვა) ჩამონათვალი, შესაბამისი რაოდენობებით.
მოგეხსენებათ, საქართველოში 2020 წლის 27 თებერვლის მონაცემებით დაფიქსირებულია კორონავირუსის ერთი შემთხვევა. ჯანმრთელობის დაცვის ექსპერტების რეკომენდაციით, ვირუსის შესაძლო ფართო გავრცელების პროფილაქტიკისათვის კრიტიკული მნიშვნელობა გააჩნია ინფექციების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, გლობალურად შექმნილი დეფიციტებიდან, ქვეყანაში დაფიქსირებული გაზრდილი მოთხოვნიდან და მოწოდების ვადების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა, შესასყიდი საქონლის ამ დრომდე გათვლილი რაოდენობები გადაიხედოს და გაიზარდოს.
ამასთან, მიზანშწონილად ჩაითვალა, პირველ ეტაპზე, პრიორიტეტულად მიჩნეულ იქნას სამედიცინო აპარატურის, პირადი დაცვის საშუალებების და სადეზინფექციო საშუალებების შესყიდვა გარკვეული (მიმდინარე ეტაპზე არსებული საჭიროების გათვალისწინებით) რაოდენობით.
ასევე, სხდომაზე განხილულ იქნა დამატებითი საკარანტინო სივრცეების შექმნის აუცილებლობის საკითხი. დღის წესრიგში დგას დამატებითი ლოკაციის (მ.შ. განიხილება რუხის საავადმყოფოს ტერიტორია) შექმნა დაახლოებით 100 საწოლზე. ამ მიზნისთვის შესასყიდ ჩამონათვალს დაემატა დამატებითი საკარანტინო სივრცის მოსაწყობად საჭირო ავეჯის, ერთჯერადი თეთრეულის, პირადი ჰიგიენის საშუალებების, სამეურნეო საქონლისა და მომსახურების, ასევე, კვებისა და დასუფთავების მოსახურების შესყიდვა. ასევე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ პირველი ოქმით შეთანხმებული რაოდენობებიდან უკვე შესყიდულია მოთხოვნილი საქონლის უმეტესი ნაწილი, რისთვისაც საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაიხარჯა დაახლოებით 541 000 ლარი, რესურსის სახით დარჩენილია 459 000 ლარი, და ამ ეტაპზე მიმდინარეობს დამატებითი რაოდენობების შესყიდვის პროცესი (ცხრილი (3) ოქმს თან ერთვის).
ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, გადაუდებლად იქნას განხორციელებული დანართებით (ცხრილი 2 და ცხრილი 3) წარმოდგენილი საქონლის შესყიდვა. ადმინისტრაციას დაევალა მიღებული გადაწყვეტილებების (შესყიდვა) სასწრაფოდ განხორციელება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საკარანტინო სივრცეების ზრდასთან ერთად დღის წესრიგში დგას ამ სივრცეებში მოთავსებული პირების მომსახურების (მეთვალყურეობა, მონიტორინგი, დასუფთავება) საკითხი. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაშვებულ იქნას გამონაკლისი ადმინისტრაციის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ მათი რიცხოვნობა გაიზარდოს დაახლოებით 35 ერთეულით.

წარმოგიდგენთ სხდომის ოქმს და თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია